


შპს კოლექტი ხვალინდელი  
წარმატებისთვის  
სტრატეგიული განვითარების  
გეგმა (2020-2027)



## სარჩევი

ინფორმაცია კოლეჯის შესახებ.....	2
სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.....	2
SWOT ანალიზი.....	3
კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები.....	6
სტრატეგიული მიზნები.....	6
პრიორიტეტული მიმართულებები.....	6
სტრატეგიული განვითარების გეგმა (მიზნები და ამოცანები).....	7
სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა.....	13
სამოქმედო გეგმის მონიტორინგისას კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდება, შეგროვება, ანალიზი და წარდგენა.....	13

## ინფორმაცია კოლეჯის შესახებ

შპს „კოლეჯი ხვალისდედი წარმატებისათვის“ არის სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულება, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის N19 გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია. ასევე, კოლეჯი აკრედიტებულია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, სასწავლო პროგრამები კი შედგენილია ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მოთხოვნების შესაბამისად.

პროფილის შესაბამისად, კოლეჯის მიზანია მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოს ავიაკომპანიები და ავიასაწარმოები, რომლებიც ახორციელებენ საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებას.

## სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

სტრატეგიული განვითარების გეგმა არის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და ადგენს შესრულების ინდიკატორებს პროგრესის შესაფასებლად. შესაბამისად, იგი მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ მიმართულებებს/მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს, შესრულების ინდიკატორებსა და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე და მისი გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავება განხორციელდა შპს კოლეჯი ხვალისდედი წარმატებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. გადახედვის ინიცირება ეკუთვნოდა დირექტორს, ხოლო ინიცირების საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 თებერვლის №25/ნ ბრძანებით ცვლილებებშეტანილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, რომელმაც განსაზღვრა, რომ დაწესებულება უნდა ხელმძღვანელობდეს არა ექვსწლიანი, არამედ შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს დაევალა შეემუშავებინა სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

ა) SWOT-ანალიზი - ჯგუფის მიერ განისაზღვრა არსებული სიტუაცია, ძირითადი პრობლემები, შესაძლო გამომწვევი გარე და შიდა ფაქტორები და მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. შემუშავებული SWOT-ანალიზის პროექტი დაიგზავნა კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით და დაინტერესებულ მხარეებს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის მიეცათ ერთი კვირის ვადა.


ბ) კოლეჯის მისიის განაცხადის რევიზია და სამომავლო ხედვისა და ღირებულებების ფორმირება - SWOT-ანალიზის განხილვისა და საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფმა განიხილა მისიის განაცხადი და საჭიროდ მიიჩნია მისიის გადახედვა. მისიასთან ერთად შემუშავდა ხედვა და ღირებულებებიც. მისია, ხედვა, ღირებულებების პროექტი დაიგზავნა კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით და დაინტერესებულ მხარეებს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის მიეცათ სამი დღის ვადა.

გ) სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების ჩამოყალიბება - SWOT-ანალიზზე დაყრდნობით ჯგუფმა იმსჯელა სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ და შეიმუშავა პრიორიტეტული მიმართულებები/სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, განსაზღვრა მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი და შესრულების ინდიკატორები.

დ) სტრატეგიული განვითარების გეგმის განხილვა - პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცებამდე, სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი დაიგზავნა კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით და დაინტერესებულ მხარეებს შენიშვნებისა და კომენტარებისთვის მიეცათ სამი დღის ვადა. განხილვების შემდეგ, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოო სახით ჩამოყალიბებული სტრატეგიული განვითარების გეგმა გადაეცა დირექტორს დასამტკიცებლად.

## SWOT ანალიზი

საჭაერო მიმოსვლა მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად საშუალოდ 6%-ით იზრდება. საჭაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (IATA) საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2036 წლისთვის მსოფლიოში მგზავრთა ნაკადის თითქმის გაორმაგებაა მოსალოდნელი. ტრანსპორტის ამ სახეობის მზარდი მოთხოვნის ფონზე ავიაკომპანიები კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის შეუვსებელ დეფიციტს განიცდიან.



ეს პრობლემა ადგილობრივ ბაზარზე ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებსაც შეეხო. ბოლო პერიოდში საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციამ და საქართველოს ავიაბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოსვლამ განაპირობა საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის მატება. კერძოდ: სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტები ჯამში 5 209 505 მგზავრს მოემსახურა, რაც 2018 წელთან შედარებით 3,5%-ით (176 182 მგზავრით) მეტია, 2017 წელთან შედარებით კი 27,63%-ით (1 127 787 მგზავრით) მეტი.

ჩვენთვის, როგორც სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებისთვის ეს პრობლემა არის გამოწვევა. მიზნად ვისახავთ, ამ გამოწვევას ღირსეულად ვუპასუხოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ აღნიშნული გლობალური პრობლემის გადაჭრაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო დაწესებულების მიერ შემუშავებულიყო SWOT ანალიზი, რომელიც დაგვანახებდა კოლეჯის ძლიერ და სუსტ მხარეებს, არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებს. ამის გათვალისწინებით, უფრო მარტივი იქნებოდა საკუთარი შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების წარმოჩენა, ხოლო სუსტ მხარეებზე მუშაობა და საფრთხეების მინიმუმამდე შემცირება, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა სასურველი მიზნის მიღწევას და ამ გამოწვევაზე ღირსეული პასუხის გაცემას.

**SWOT ანალიზი**

<b>ძლიერი მხარეები</b>	<b>სუსტი მხარეები</b>
<p>შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;</p> <p>პროფესიონალი, ლიცენზირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინსტრუქტორები;</p> <p>თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა;</p> <p>საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა;</p> <p>თანამედროვე ინფრასტრუქტურა;</p> <p>საბიბლიოთეკო ფონდი.</p>	<p>საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა, ბრენდის ჩამოუყალიბებლობა;</p> <p>პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების არარსებობა/ნაკლებობა;</p> <p>უცხო ენების გაძლიერებული კურსის არარსებობა;</p> <p>არასტაბილური ფინანსური ნაკადები.</p>
<b>შესაძლებლობები</b>	<b>საფრთხეები</b>
<p>პროფილის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;</p>	<p>სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების სწრაფი ცვლილებები;</p>

<p>პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელება;</p> <p>მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;</p> <p>განათლების სისტემაში ტექნოლოგიური სიახლეების მეტი ხელმისაწვდომობა;</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვება;</p> <p>კერძო სექტორის გაზრდილი დაინტერესება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული კადრებით;</p> <p>დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა;</p> <p>სასწავლო პროცესის ელექტრონული პროგრამით მართვა;</p> <p>სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში ჩართულობა;</p> <p>ინოვაციური პროექტების შემუშავება და მათთვის დაფინანსების მოპოვება;</p> <p>გაცვლითი პროგრამების დანერგვა;</p> <p>საერთაშორისო სერტიფიცირების დანერგვა და დამატებითი მომხმარებლების მოზიდვა ადგილობრივი და უცხოური ბაზრებიდან.</p>	<p>პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობის სიმცირე;</p> <p>პროფესიული განათლების არასაკმარისი პოპულარიზაცია და ნაკლებპრესტიჟულობა;</p> <p>ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;</p> <p>ანალოგიური პროგრამების შემთავაზებელი ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზარზე გამოჩენა;</p> <p>პარტნიორი ბიზნესკომპანიების ფინანსური წარუმატებლობა.</p>
---	--

## კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები

შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“ მისიაა, თანამედროვე ევროპული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრებით სამოქალაქო ავიაციის სფეროს დაკმაყოფილება, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა და წარმატებული დასაქმებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა.

კოლეჯის ხედვაა გახდეს სწავლების ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასწავლებელი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს, მსმენელებს სთავაზობს ხარისხიან განათლებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე მეტ ხელმისაწვდომობას, ამზადებს მათ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნების შესაბამის კვალიფიციურ კადრებად და ხელს უწყობს მათ კარიერულ განვითარებას.

ვაცნობიერებთ რა ჩვენს როლს პროფესიულ განათლებაში, ჩვენს საქმიანობაში ვეყრდნობით ისეთ ღირებულებებს, როგორცაა გუნდურობა, პროფესიონალიზმი, სიახლეებისადმი ღიაობა, სამართლიანობა და თანასწორობა.

## სტრატეგიული მიზნები

SWOT -ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი სტრატეგიული მიზნები:

1. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურსული აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/რესურსების განვითარება;
3. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
4. პროგრამებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება;
5. ინსტიტუციური გამძლიერება, ადამიანური რესურსის განვითარება;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება.

## პრიორიტეტული მიმართულებები

სტრატეგიული მიზნებიდან პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიზნებად განისაზღვრა შემდეგი:

1. კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურსული აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
3. პროგრამებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება.

## სტრატეგიული განვითარების გეგმა (მიზნები და ამოცანები)

### სტრატეგიული მიზანი N1 - კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურსული აქტივობების ორგანიზება პროფესიული სტუდენტებისთვის

	ამოცანა	წლები									შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			
1.1	ბრენდის განვითარება	X	X	X	X	X	X	X	X	X	ციფრული მარკეტინგის (ვებგვერდი, აქტიური სოციალური მედიის გვერდები, Facebook და/ან Google რეკლამა) განხორციელება	დირექტორი
1.2	საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება სამიზნე აუდიტორიასთან	X	X	X	X	X	X	X	X	X	სხვადასხვა დაინტერესებული მხარის (მშობელი, რეგისტრანტი, მასწავლებელი და ა.შ) ინფორმირების ხარისხი, შეხვედრების რაოდენობა	
1.3	ექსტრაკურსული აქტივობების ორგანიზება	X	X	X	X	X	X	X	X	X	განხორციელებული ღონისძიებები, კონკურსები, შეხვედრები და ექსკურსიები	სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი

### სტრატეგიული მიზანი N2 - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/რესურსების განვითარება

#	ამოცანა	წლები									შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			



2.1	სასწავლო აუდიტორიების/სახელოსნოების მატერიალური რესურსით გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X	X	X	შემენილი ტექნიკური აღჭურვილობის მაჩვენებელი; შემენილი/განახლებული ინვენტარის რაოდენობა/მაჩვენებელი; შემენილი სასწავლო თვითმფრინავი; შემენილი ინსტრუმენტები და მასალა-ნედლეული; დამატებული სასწავლო აუდიტორები; გათბობის საშუალებების გადამოწმება-განახლებისთვის დახარჯული რესურსი	დირექტორი
2.2	საბიბლიოთეკო სერვისების და რესურსების გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X	X	X	დანერგილი საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული საძიებო სისტემა; განახლებული წიგნადი ფონდი; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიით აღჭურვილი საბიბლიოთეკო სივრცე; განახლებული საბიბლიოთეკო სივრცე	სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი
2.3	საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X	X	X	დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა; გონივრულ ვადებში განახლებული სოციალური მედიის გვერდები; შემუშავებული საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის დოკუმენტი; დანერგილი სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამა.	დირექტორი

**სტრატეგიული მიზანი N3 - შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროგრამების შემუშავება და განხორციელება**

ამოცანა	წლები									შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			
3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	X	X	X	X	X	X	X	X	X	შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი; ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა; ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება	ხარისხის მართვის მენეჯერი; სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი
3.2 მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების განხორციელება		X	X	X	X	X	X	X	X	ავტორიზებული მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები; განხორციელებული პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები; განხორციელებული სასერტიფიკატო პროგრამები	
3.3 სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში ჩართულობა		X	X	X	X	X	X	X	X	სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში მონაწილეობა; პროექტებისთვის მოპოვებული დაფინანსებები	დირექტორი

3.4	ერთობლივი/გაცვლითი პროგრამების განხორციელება			X	X	X	X	X	X	განხორციელებული ერთობლივი/გაცვლითი პროგრამები; პროგრამებში მონაწილეთა მაჩვენებელი
3.5	საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების დანერგვა (სწავლის მსურველთა მოზიდვა ადგილობრივი და უცხოური ბაზრებიდან)		X	X	X	X	X	X	X	საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამებისთვის მოზიდული სწავლის მსურველები; განხორციელებული საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები

**სტრატეგიული მიზანი N4 - პროგრამებისა და სტუდენტური სერვისების განვითარება**

ამოცანა	წლები									შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			
4.1	სასწავლო პროცესის ორგანიზება	X	X	X	X	X	X	X	X	საკონტაქტო საათზე დასწრების მაჩვენებელი; შემუშავებული კალენდარული გეგმები; შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები	სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი;
4.2	შეფასების სისტემის ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X	X	X	შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის შედეგები; მტკიცებულებების ვერიფიკაციის შედეგები; შეფასების სისტემის მონიტორინგის შედეგები	ხარისხის მართვის მენეჯერი

4.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	X	X	X	X	X	X	X	X	შემუშავებული კითხვარები; გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, პროფესიული სტუდენტების და სხვა პირთა რაოდენობა; შემუშავებული კვლევის ანგარიშები; გამოკითხვის შედეგებიდან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით განვითარებული / ცვლილებებშეტანილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	ხარისხის მართვის მენეჯერი
4.4	პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა	X	X	X	X	X	X	X	X	დასაქმების და სტაჟირების სერვისი; დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მაჩვენებელი; დასაქმების ფორუმების, შეხვედრების, პროფესიული სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციების მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში	დირექტორი; სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი

**სტრატეგიული მიზანი N5 - ინსტიტუციური გაძლიერება, ადამიანური რესურსის განვითარება**

ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026 2027		

5.1	მართვის სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესება	X	X	X	X	X	X	X	X	თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი; ადამიანური რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი	დირექტორი; ხარისხის მართვის მენეჯერი;
5.2	თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციების ამაღლება		X	X	X	X	X	X	X	პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიშები; შემუშავებული ტრენინგ-პროგრამები; პროფ. მასწავლებელთა წილი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი; ჩატარებული ტრენინგების მაჩვენებელი	ხარისხის მართვის მენეჯერი; სწავლების / გამოცდების მართვის მენეჯერი

**სტრატეგიული მიზანი N6 - ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება**

ამოცანა	წლები									შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027			
6.1	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	X	X	X	X	X	X	X	X	შემუშავებული თვითშეფასების ანგარიშები; შემუშავებული ავტორიზაციის კითხვარი; შემუშავებული კითხვარი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ; შემუშავებული განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ; აკრედიტებული სასწავლებელი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ; აკრედიტებული სასწავლებელი ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ	ხარისხის მართვის მენეჯერი

## სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა

სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა შესაძლებელია განხორციელდეს სულ მცირე ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშების საფუძველზე, ან სხვა ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა ევალუა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს. ჯგუფს სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვისთვის ეძლევა 10 დღიანი ვადა. კორექტირებული სტრატეგიული განვითარების გეგმა სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადებისა და განხილვების ფაზის შესაბამისად გადის დამტკიცების ფაზას.

## სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და კომისიისთვის ინფორმაციის მიწოდება, შეგროვება, ანალიზი და წარდგენა

სამოქმედო გეგმით გაწერილი შესაბამისი მიმართულების პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ მონიტორინგს და ექვს თვეში ერთხელ წარადგენენ ინფორმაციას სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი კომისიის წინაშე. სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კომისია ინფორმაციის შეგროვებიდან 15 დღის ვადაში შეისწავლის და ანალიზებს მიღებულ მონაცემებს. კომისიის ხელმძღვანელი შეიმუშავებს შუალედურ ანგარიშს 6 თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 20 რიცხვისა. კომისიის ხელმძღვანელი ადგენს წლიურ ანგარიშს არაუგვიანეს მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 20 კალენდარული დღისა. სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში საჯაროა.